პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 ნოემბერი სამშაბათი 1971 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 253 (15163)

გაუმარჯოს და მტკიცედ შეკრულ ეს ჩვენი დიადი სამშობლო—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი—მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების გურჯი!

საქართ. ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

მშვიდობის ინჭერესებისათვის

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ბერლინში

ბერლინი, 30 ოქტომბერი. (საკდისის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო.**

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ შენაფეფლდის აეროდრომზე ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევს** შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ჰონეკერი,** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. შტოფი,** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები **გ. აქსენი, ფ. ებერტი, გ. გროუნებერგი, კ. ჰაგერი, ვ. კროლიკოვსკი, ვ. ლამბერცი, გ. მიტაგი, ე. მიუკენბერგერი,** ა. ნოიმანი, ა. ორდენი, ჰ. ზინდერმანი, ჰ. ფერნერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს შეხვდნენ ბერლინში წინადღით ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **კ. ვ. რუსაკოვი,** სკკპ ცენტრალური რესპუბლიკაში **მ. ტ. ეფრემოვი,** გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ს. კ. კურკოტკინი,** სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ბერლინელმა პიონერებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ყვავილები მიართვეს. აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად შეხვდნენ აეროდრომზე შეკრებილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები. ათასობით ადამიანი გამოვიდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ალმებით, ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით მორთულ ქალაქის ქუჩებში და მოეგებნენ მაღალ სტუმარს ლ. ი. ბრეჟნევს!“, „ვაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „ეროინდშაფტ — მეგობრობა!“, „ვაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — შვიდობისა და სოციალიზმის მთავარ ძალას!“.

ბერლინის მცხოვრებნი ძმური გულითადობით, მხურვალე ტაშით, შეძახილებით „ეიშა!“, „მეგობრობა!“ მიეგებოდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით ჩამოსულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ამხ. ე. ჰონეკერთან

ბერლინი, 30 ოქტომბერი. (საკდისი). დღეს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** შეხვედრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან **ე. ჰონეკერთან.** შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. **ა. ა. ბორისოვი,** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხ. **ჰ. ზინდერმანი, ფ. ფერნერი, ა. ორდენი, ა. ნოიმანი, ვ. ლამბერცი, ე. მიუკენბერგერი, ვ. ბეიერლეინი, ვ. ბეიერლეინი, ვ. ბეიერლეინ

ძმურ, გულითად ვითარებაში

(დასასრული)

გერმანელ მუშათა და გლეხთა სოციალიზტური სახელმწიფო ეცნობა საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის სრულუფლებიან მონაწილედ. არ შეიძლება არ გვახარებდეს ამ ბრძოლის ნაყოფი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას სამართლიანად უკავია ადგილი მსოფლიოს განვითარებული სამრეწველო ქვეყნების პირველ ათეულში.

გერმანიის მიწა-წყალზე მტკიცედ დამკვიდრდა პოლიტიკური ცხოვრების სოციალისტური ფორმები, სოციალისტური კულტურა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგია. თქვენმა ქვეყანამ უკვე დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა 30 სახელმწიფოსთან. მას აქვს სავაჭრო და სხვა წარმომადგენლობები 50-ზე მეტ ქვეყანაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სამასზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია.

მაგრამ — და ამის შესახებ ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ დღეს — ევროპის ცენტრში ხანგრძლივი მოწესრიგების ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. წინ გველის ხერიოზული პოლიტიკური ბრძოლა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეაქციული, შოვინისტურად განწყობილი წრეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას. ცდილობენ მონახონ მოკავშირენი და ჩაშალონ ევროპაში დაძაბულობის შენელება, რომელიც დაიწყო.

საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სხვა მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოები ჯეროვნად აფასებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის რეალისტურ ღონისძიებებს და მზად არიან გაითვალისწინონ ისინი. მაგრამ ჩვენ ნათელი და გარკვეული პოლიტიკის მომხრენი ვართ.

ფფიქრობთ, რომ დასავლეთის ხალად მოაზროვნე პოლიტიკოსებისათვის გასაგებია არსებული საქმეთა ვითარება. უკან გზა მოჭრილია. სოციალიზმის პოზიციები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ურღვევია. დასავლეთის გარკვეული წრეების იმედი გამოიყენონ ახლანდელი პოლიტიკური კონიუნქტურა ამისათვის. რომ როგორმე შეასუსტონ, შეარყიონ სოციალიზმის პოზიციები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფუჭი, აუზდენელი იმედია. ამის საწინდარია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტიკური სიმყარე და აქტიურობა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტური პატრიოტიზმი, ამის საწინდარია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვარშავის ხელშეკრულებაში მისი მოკავშირეების ძმური ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები. (ტაში).

ამხანაგებო! მოგეხსენებათ, რომ ახლა მსოფლიო პრესა ბევრს წერს საბჭოთა კავშირის „მშვიდობიან შეტევაზე". დიახ ჩვენ ვაწარმოებდით და ახლაც ვაწარმოებთ ასეთ შეტევას, შეტევას რეაქციისა და ომის ანტიხალხური ძალების წინააღმდეგ. ეს ერთხელ კიდევ სრულიად მკაფიოდ არის ნათქვამი სამშვიდობო პროგრამაში, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო. ჩვენ მარტონი როდი ვიბრძვით მშვიდობისათვის. ჩვენთან არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნები. ჩვენი სახელმწიფოები ათანხმებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკას, ერთად სახავენ უახლოეს და პერსპექტიულ მიზნებს, ათანხმებენ საგარეო პოლიტიკურ ტაქტიკას და მტკიცედ ახორციელებენ ევროპაში და სხვა კონტინენტებზე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების კურსს.

ამ კურსის ფარგლებში საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები ეწვევნენ მთელ რიგ ქვეყნებს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. ამავე კურსის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი საფრანგეთში, რომელიც გუშინწინ დამთავრდა.

შემიძლია ვთქვა, რომ ამ ვიზიტის შედეგებს ჩვენ დადებითად ვაფასებთ. ხელშეკრულება საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟ. პომპიდუსთან და საფრანგეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივმა დოკუმენტებმა დაადასტურეს, რომ ორივე სახელმწიფო გადაჭრით ილაშქრებს ძალადობისა და თვითნებობის წინააღმდეგ საერთაშორისო საქმეებში, რომ ორივეს განზრახული აქვს შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის მყარი ხასიათი თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ევროპის მყარი უშიშროების უზრუნველყოფის გზით წარმატებული. წინსვლის წანამძღვარია.

ძვირფასო მეგობრებო! გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან ახლახან დამთავრებულმა მოლაპარაკებამ ცხადყო აზრთა ერთიანობა ყველა განხილულ საკითხში. ეს განსაკვირი არ არის. ჩვენს ხალხებს, პარტიებსა და სახელმწიფოებს აკავშირებთ ღრმა, ნაცადი მეგობრობა, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება. მოლაპარაკებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რამდენად სახარგებლო, რამდენად საჭიროა ჩვენი ძმური კავშირი, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი მეგობრობა, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირება თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირობას გაძლევთ, ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ეს კავშირი მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ. (მძაუსარე ხანგრძლივი ტაში).

ნება მიბოძეთ სულითა და გულით ვუსურვო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს ახალი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებაში, მშვიდობის საქმის დაცვაში.

შევსვამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, თქვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავების სადღეგრძელო.

ვადღეგრძელოთ ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა,

ვადღეგრძელოთ ამხანაგი ბონეკერი, ამხანაგი ულბრიხტი, ამხანაგი შტოფი.

დღეგრძელობას გისურვებთ ყველას!

* * *

სადილმა ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

□ □ □

საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი კომუნიკე

(დასასრული).

———

აგრეთვე აზრები მსოფლიო კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე და თანამედროვეობის ძირითად საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის აქტიური და ნაყოფიერი ყოველმხრივი თანამშრომლობის გამო.

საბჭოთა მხარემ მაღალი შეფასება მისცა კუბის რესპუბლიკის ხალხის მიღწევებს სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის საქმეში. მან კვლავ დაგმო იმპერიალისტური ბლოკადა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარსებენ კუბის მიმართ, და მის მიერ წახალისებული სხვადასხვაგვარი ტერორი მოქმედება, მათ შორის მეკობრული მოქმედება, და საპაერო სივრცის დარღვევა. აგრეთვე გაიარეშქრა იმის წინააღმდეგ, რომ კუბის ტერიტორიაზე უკანონოდ განლაგებულია ჩრდილოეთ ამერიკის სამხედრო ბაზა გუანტანამო.

კუბის ხელმძღვანელებმა რესპუბლიკის ხალხის გულწრფელი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირის ხალხებს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რასაც ისინი დღენიადაგ უწევენ კუბას, რაც კუბელ ხალხს მიაჩნია ფასდაუდებელ წვლილად სოციალისტური მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების რთული ამოცანების გადაჭრის საქმეში.

საუბრების მსვლელობაში დეტალურად განხილულს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების პრაქტიკული საკითხები. მხარეებმა დაადასტურეს საერთო მისწრაფება, რომ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ და განავითარონ სსრ კავშირისა და კუბის ძმური მეგობრობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა და კუბის მხარეებმა სრული ერთსულოვნება გამოხატეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მთელ მსოფლიოში საზოგადოებრივი განვითარების შეფასებაში, რომელსაც რევოლუციური პროცესის გაღრმავება ახასიათებს. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რევოლუციური ძალების ამ განუხრელი წინსწლის დამადასტურებელია მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცება, მისი მზარდი ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული და ეკსპლოატირებულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაჩქარებული განვითარება და კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლა.

ორივე მხარემ კვლავ დაადასტურა თავისი რწმენა, რომ საერთაშორისო რეაქციის განუწყვეტელი ცდების პირობებში ჩაფუშონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, რომელიც გადამწყვეტი ძალაა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში და მსოფლიო რევოლუციური პროცესის წარმატების გარანტია, საჭიროა სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობის განმტკიცება.

განხილეს რა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობა, მხარეებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ინდოჩინეთში ომის გაფართოებას, მისი განუწყვეტელი ჩარევა ამ რაიონის საქმეებში. მხარეებმა დაადასტურეს, რომ მთლიანად და უფლად უმერენ ბრძოლას ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, ისე როგორც ლაოსელი და კმბერი ხალხების ბრძოლას, რომლებიც აგრეთვე იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლნი არიან.

ორივე მხარე სრულ სოლიდარობას უცხადებს გმირი ვიეტნამელი ხალხისა და ინდოჩინეთის სხვა ხალხების ბრძოლას და მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატებისა და აგრესიაში მისი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების მთლიან, უთუო და დაუყოვნებლივ გაყვანას. ამასთან დაკავშირებით ისინი მთლიანად უჭერენ მხარს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წინადადებებს, რომლებიც 7 პუნქტისაგან შედგება. ეს წინადადებანი მხარეებს მიაჩნიათ დიდმნიშვნელოვან წვლილად გონივრულ და სამართლიან საფუძველზე კონფლიქტის გადაჭრაში. ორივე მხარე სავსებით უჭერს მხარს ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების მტკიცე ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის, მისი მოკავშირეებისა და აგენტების წინააღმდეგ და კვლავ აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ლაოსის პატრიოტული ფრონტის ნ პუნქტისაგან შემდგარ წინადადებებს პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ, აგრეთვე კამბოჯის ერთიანი ეროვნული ფრონტის პოლიტიკურ პროგრამას.

მხარეები გადაჭრით გმობენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ პროვოკაციებსა და აგრესიულ მოქმედებას კორეელი ხალხის მიმართ. რაც კვლავ გრძელდება. ისინი სავსებით უჭერენ მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცნობილ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ხამშობლოს მშვიდობიანად გაერთიანებას.

საბჭოთა და კუბის მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს არაბი ხალხების ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, 1967 წლის ივნისში მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისათვის, პალესტინელ ხალხის კანონიერი და განუყოფელი უფლებების ცნობისათვის და ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. მხარეებს ერთიანი აზრი აქვთ იმის შესახებ, რომ ამ რაიონში კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ევროპაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ აზრთა გაზიარების დროს მხარეებმა ხაზი გაუსვეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას ევროპასა და მთელ მსოფლიოში სტაბილური მშვიდობის მიღწევისათვის. კუბის მხარემ მხარი დაუჭირა სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

ორივე მხარემ დადებითად შეაფასა დასავლეთ ბერლინის გამო ოთხმხრივი შეთანხმების მიღწევა და აღნიშნა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მათ ხაზი გაუსვეს, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებათა უსწრაფესი რატიფიკაცია ხელს შეუწყობს ევროპის კონტინენტზე ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

მათ გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, სრული თანაბარუფლებიანობის საფუძველზე უნდა იღებდეს მონაწილეობას ყველა ნაბიჯში, რომლებიც ეხება თანამედროვე მდგომარეობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ამასთან დაკავშირებით მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთდროულად მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა ჩინეთის რესპუბლიკის, როგორც ჩინეთის ხალხების ერთადერთი წარმომადგენლის, კანონიერ უფლებათა აღდგენის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

განიხილეს რა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, მხარეებმა საჭიროდ მიიჩნიეს მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება და ამასთან დაკავშირებით მხარი დაუჭირეს მსოფლიო კონფერენციის მოწვევას განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განსახილველად.

საბჭოთა კავშირისა და კუბის მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მოძრაობა ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისათვის მძლავრ ძალად გადაიქცა.

განიხილეს რა ლათინურ ამერიკაში შექმნილი ვითარება, მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ კონტინენტზე მიმდინარეობს მზარდი აღმავლობა რევოლუციური მოძრაობისა, რომელიც სულ უფრო მეტი ძალით უწევს წინააღმდეგობას იმპერიალიზმისა და მასთან დაკავშირებული ოლიგარქიების ბატონობას.

ამასთან დაკავშირებით მათ სოლიდარობა გამოუცხადეს ჩილეს სახალხო ერთიანობის მთავრობას ხალვადორ ალიენდეს მეთაურობით და სტრუქტურულ გარდაქმნებს, რომლებსაც ეპრეს მთავრობა ახორციელებს. მხარეებმა აგრეთვე გამოხატეს თავიანთი მტკიცე მხარდაჭერა სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებებისადმი, რომლებსაც ეს ქვეყნები ახორციელებენ, რათა დაიძლიონ თავიანთი ეროვნული სიმდიდრენი და განამტკიცონ ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, და გადაჭრით გმობენ ამ ქვეყნების ხალხთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის შენარჩუნების მიზნით ეკონომიური რეაქციონერების გამოყენების იმპერიალისტურ პრაქტიკას.

საბჭოთა კავშირისა და კუბის მხარეებმა დაგმეს იმპერიალიზმისა და რეაქციული ოლიგარქიების გაერთიანებული ცდები შეაჩერონ რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ლათინურ ამერიკაში.

ადასტურებენ რა საბჭოთა კავშირისა და კუბის პოზიციების კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ, მხარეები თანაგრძნობასა და მხარდაჭერას უცხადებენ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის კოლონიურ ხალხთა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავიანთ ტერიტორიებზე სრული სუვერენიტეტის მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით კუბისა და ხაბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში თანაგრძნობა გამოუცხადეს პანამის ხალხის მისწრაფებას განახორციელოს სრული სუვერენიტეტი მთელ თავის ეროვნულ ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირის მხარემ დაადასტურა მოძმე კუბელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ღრმა პატივისცემის გრძნობები, მზადყოფნა კვლავაც გაუწიონ მას ყოველმხრივი მხარდაჭერა სოციალისტურ მონაპოვართა განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმის ძალების პროვოკაციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მხარეები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ შეხვედრებისა და საუბრების შედეგების გამო, რომლებიც ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ა. ნ. კოსიგინმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის სახელით დაუდასტურა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს საბჭოთა კავშირში მოწვევა. ეს მოწვევა მადლობით იქნა მიღებული.

ჰავანა, 1971 წლის 30 ოქტომბერი.

კომუნიკე

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შესახებ

(დასასრული).

სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჰაგერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. ქროლიკოვსკი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ლამბერცი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. მიტაგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. მიუკენბერგერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ნო

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სსრ-ის 27-ე (XV) 1971

შეხვედრები, მარშრუტები

ეცნობიან მოძმე ესტონეთის კულტურას

ქუთაისის. (ტელეფონით, საკ. კ.). 26 ოქტომბრიდან საქართველოში ესტონეთის კულტურის დღეებს დაწყებიდან ქუთაისის მშრომელი ეცნობინან უდიდესი ინტერესით ამ ულამაზეს ესტონელი ხალხის ხელოვნებას.

განსაკუთრებით სასიხარულო და ალმაფრთოვანი დარჩება ქუთაისელებისათვის 30 ოქტომბერი. ქალაქში საზეიმო არის მორთული. ქუჩებს, მოედნებს და შენობათა ფასადებს ამშვენებს ესტონურ და ქართულ ენებზე შესრულებული ტრანსპარანტები „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას“, „გაუმარჯოს ესტონელი და ქართველი ხალხების მეგობრობას!“ „ჯეროვნად იყოს ჩვენი მობრძანება, ძვირფასო ესტონელო სტუმრებო!“.

საღამოს 6 საათია. ქალაქის მშრომელებმა თავი მოიყარეს თბილისი-ქუთაისის გზატკეცილთან. გამოჩნდა ავტობუსი ავტომანქანების კოლონა. აქ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვიალისანი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ზჩიკვიშვილი და სხვები.

ქალაქის შემოსავალში აღმართულ ტრიუმფალურ კამარასთან ძვირფას სტუმრებს ელოდა ყვავილების თაიგულებით შეიარაღებული ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები. მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები, პიონერ-მოსწავლეები.

ლაღო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ესტონეთის დელეგაციისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ქართველიშვილმა. სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი დ. ჯიბლაძე, ქალაქის მისამე სამმობიარო სახლის უფროსი ექთანი ზ. ონიანი, ეროვნული ანსამბლი „ირდა-ძოწინაძე“, პიონერი თ. ჯოლოშვილი.

სიტყვით გამოვიდა ესტონეთის დელეგაციის მეთაური ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვიალისანი, რომელმაც მურვალე მადლობა გადაუხადა ქუთაისელებს გულთბილი შეხვედრისათვის და ქალაქის მშრომელებს გადასცა საჩუქარი — სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ე. ვოკასის ნამუშევარი „ძველი ტალინი“. თავის მხრივ ქუთაისის მშრომელთა სახელით საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ქართველიშვილმა ესტონელ მეგობრებს საჩუქრად გადასცა ხეზე შესრულებული ნაკეთობა „ბაგრატის ტაძარი“.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, მაყურებელთა წინაშე წარსდგა ესტონეთის სსრ სახელმწიფო აკადემიური ვაჟთა გუნდი, რომლის მთავარი დირიჟორია ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ირნესალუი.

ესტონელი მეგობრები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ სახელგანთქმულ ჯურორტ წყალტუბოში, დათვალიერეს მისი სამკურნალო დაწესებულებანი.

მანქანების კორტეჟმა, რომელშიც ესტონეთის დელეგაცია იყო, კუროი აიღო მახარაძის რაიონისაკენ.

მახარაძე. 1 ნოემბერი. (საქდესი). „სალამი, ესტონეთო!“ ამ შეძახილებით შეხვდნენ ესტონელ მეგობრებს სოფელ ნაგომრის მშრომელები. სოფლის ცენტრში, სადაც აღმართულია დიდი სამამული ომის ფრონტელებზე დაღუპულ მეომართა ძეგლი, გაიმართა მეგობრობის მიტინგი. მთელი სოფელი შეიკრიბა ამ შეხვედრაზე. აქ იყვნენ საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოთიძე, მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ჯობრონიძე, რაიონის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი ი. მგალობლიშვილი.

ჯეროვანი ძეგლი ტრადიციისამებრ სტუმრებს შეხვდნენ ფეიერვერკითა და პიროტექნიკით. ესტონელ ამბავს გულთბილად მიესალმნენ სოფლის საშუალო სკოლის პიონერები ნ. რამიშვილი, კოლმეურნეები ა. ლორთქიფანიძე.

ნაგომრელებს მიესალმა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვიალისანი, რომელმაც მურვალე მადლობა გადაუხადა ქუთაისელებს ესტონელი ელემენტების შეხვედრისათვის და ქალაქის მშრომელებს გადასცა საჩუქარი — სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ე. ვოკასის ნამუშევარი „ძველი ტალინი“. თავის მხრივ ქუთაისის მშრომელთა სახელით საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ქართველიშვილმა ესტონელ მეგობრებს საჩუქრად გადასცა ხეზე შესრულებული ნაკეთობა „ბაგრატის ტაძარი“.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, მაყურებელთა წინაშე წარსდგა ესტონეთის სსრ სახელმწიფო აკადემიური ვაჟთა გუნდი, რომლის მთავარი დირიჟორია ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ირნესალუი.

ესტონელი მეგობრები გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ სახელგანთქმულ ჯურორტ წყალტუბოში, დათვალიერეს მისი სამკურნალო დაწესებულებანი.

მანქანების კორტეჟმა, რომელშიც ესტონეთის დელეგაცია იყო, კუროი აიღო მახარაძის რაიონისაკენ.

მახარაძე. 1 ნოემბერი. (საქდესი). „სალამი, ესტონეთო!“ ამ შეძახილებით შეხვდნენ ესტონელ მეგობრებს სოფელ ნაგომრის მშრომელები. სოფლის ცენტრში, სადაც აღმართულია დიდი სამამული ომის ფრონტელებზე დაღუპულ მეომართა ძეგლი, გაიმართა მეგობრობის მიტინგი. მთელი სოფელი შეიკრიბა ამ შეხვედრაზე. აქ იყვნენ საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოთიძე, მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ჯობრონიძე, რაიონის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი ი. მგალობლიშვილი.

ჯეროვანი ძეგლი ტრადიციისამებრ სტუმრებს შეხვდნენ ფეიერვერკითა და პიროტექნიკით. ესტონელ ამბავს გულთბილად მიესალმნენ სოფლის საშუალო სკოლის პიონერები ნ. რამიშვილი, კოლმეურნეები ა. ლორთქიფანიძე.

ნაგომრელებს მიესალმა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვიალისანი, რომელმაც მურვალე მადლობა გადაუხადა ქუთაისელებს ესტონელი ელემენტების შეხვედრისათვის და ქალაქის მშრომელებს გადასცა საჩუქარი — სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ე. ვოკასის ნამუშევარი „ძველი ტალინი“. თავის მხრივ ქუთაისის მშრომელთა სახელით საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ქართველიშვილმა ესტონელ მეგობრებს საჩუქრად გადასცა ხეზე შესრულებული ნაკეთობა „ბაგრატის ტაძარი“.

ესტონეთის კულტურის დღეებზე

— ამ სასიხარულო დღეებში, — თქვა მან, — როცა ბგერსტუმრა ესტონური მუსიკა, მე და საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული სიზოგადოების გურული ხალხური სიმღერების მახარაძის სკოლის მთელი კოლექტივი განსაკუთრებული მადლობერების გრძნობით ვიხსენებთ სტუმართმოყვარეობას, რომელიც გაგვიწევეს ამ ორი წლის წინათ, როცა მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ 67 საგუნდო კოლექტივთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ ტალინში ესტონური სიმღერის დიდ დღესასწაულში, რომელიც ტარტუს პრეფექტ ალ. ოლიასსაოოს ასი წლისთავს მიეძღვნა. ჩვენს კოლექტივს პირველი ხარისხის დიპლომი მიკუთვნა. მაშინვე ვადმოგვეცა ტარტუს სიმბოლური ბანალი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქალაქი-მუზეუმის საპატიო მოქალაქენი გავხდით. სულითა და გულით შეიარაღებულ ეს ქალაქი, მისი სახელოვანი მშრომელები.

მეგობრობის მიტინგზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ერნმა.

ესტონეთის საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელთა სახელით იგი გულითადად მიესალმა ქართველ მეზარეებს. ჩვენ, თქვა ა. ერნმა, ვიმოგზაურეთ საქართველოს თვალწარმტაცი ადგილებში. მაგრამ თქვენმა შესანიშნავმა მშრომელებმა ადასტურეს თავიანთი თავდადებული შრომით. მიდიხართ დაკლებილი ბუნება და გაოცებული რჩები, რა ტიტანური შრომა გაუწევიათ, რომ განთქმული ქართული ჩაის პლანტაციებით აეფვანებინათ თეთრეული გორაკი და ბორცვი, თვითეული გოჯი ოდესღაც დაჭაობებული მიწა.

დიდება ამ ადამიანთა შრომას!

შემდეგ ესტონელმა სტუმრებმა დათვალიერეს ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები, მონაწილეობა მიიღეს ანასეულელ მეციტრუსეთა კოლექტივის მიერ გამოყვანილი ადრეული ჯიშების საოცალი პლანტაციაში მანდარინების პირველი პარტიის კრეფაში.

გვიანობამდე გაისმოდა ანასეულის ციტრუსოვანთა პლანტაციებში ესტონური და ქართული სიმღერები. მათ დიდის ოსტატობით ასრულებდნენ ესტონეთის დამსახურებული ვაჟთა გუნდის ვიარტეტი სსრ კავშირის სახალხო არტისტის გუსტავ ირნესალუის ხელმძღვანელობით და ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თვითმოქმედი მსახიობები.

საღამოს ესტონელ სტუმრებს მიესალმა მზიური აპარის დედაქალაქი ბათუმი.

□

ცხინვალი, 1 ნოემბერი. (საქდესი). საქართველოში ესტონეთის კულტურის დღეების მონაწილეთა ჯგუფი ეწვია სამხრეთ ოსეთს. ისინი აქ შეხვდნენ ოქტის მშრომელებს. ქრონდათ საუბარი პარტიის საოლქო კომიტეტში. ესტონელმა მეგობრებმა დაათვალიერეს სამხრეთ ოსეთის მხატვართა ნამუშევრების ჯამოფენა. ჯეინინ ჯეინის ტყვიის ტყვია-თუთიის მაღაროებში. მათ დაათვალიერეს ამრეთვე ოქტის მატალმოიანი რაიონული ცენტრი ჯავა.

ბაკურიანი, 1 ნოემბერი. (საქდესი). ქალაქ ბაკურიანის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ საქართველოში ესტონეთის კულტურის დღეების მონაწილეებს. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალაქის ისტორიული ძეგლები. ეწვიენენ ალაზი ფარეულის სახლ-მუზეუმს, მაღაროელთა კურორტს ჯვრეთს. იყვნენ მაღაროებში. კულტურის სახლში გაიმართა მეგობრობის საღამო, რომელზეც სტუმრებს მიესალმა ბაკურიანის ალაზი ფარეულის სახელობის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნებათმცოდნე ო. ალიკასოვილი. კონცერტის დროს შეასრულეს ესტონური და ქართული სიმღერები.

მსოფლიო ფილოსოფიური ბიბლიოთეკა

მეგობრული ვიზიტი

ბერლინი, 31 ოქტომბერი. (საადეს). „ბერლინი ძმური გულითადობით მიესალმება ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევს“. „გულითადი შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში“, „ჩვენი ურდველი მეგობრობის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი“ — ასეთი სათაურებით „ნოიეს დოიჩლანდი“, „ბერლინერ ცაიტუნგი“, „ნაციონალ-ცაიტუნგი“, „დერ მორგენი“, „ნოიე ცაიტი“ და სხვა გაზეთები იტყობინებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში ვიზიტის შესახებ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. ჰონეკერთან შეხვედრის შესახებ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმ დროს მიმდინარეობს, როცა მთელ საერთაშორისო ცხოვრებაზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამა. რომლის განხორციელებისათვისაც იბრძვის საბჭოთა კავშირი.

ახლა ჩვენი მეგობრობა ლენინის ქვეყანასთან კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე გახდა. ამ მეგობრობას ახასიათებს სულ უფრო ღრმა ძმური ურთიერთობა, წერს „ნოიეს დოიჩლანდი“.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის „მიმზიდველ ძალას“ ხაზს უსვამს „ნაციონალ ცაიტუნგი“ საბჭოთა მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის მიზნები და წარმატებანი კვლავ დამაჯერებლად დადასტურდა საფრანგეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს, აცხადებს გაზეთი.

„დერ მორგენი“ წერს, რომ ბერლინელები გულთბილად შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევს. ეს არის დიდი მადლობის გამოხატულება საბჭოთა კავშირისადმი იმის გამო, რომ იგი ებრძვის მშვიდობის დაცვისა და ევროპის უშიშროებისათვის, ეს არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მტკიცე და ურღვევი მეგობრობის დადასტურება.

ეროვნული დღესასწაული

ალჟირი. 1 ნოემბერი. (საადეს). ეროვნული დღესასწაულის — 1954 წლის რევოლუციის დაწყების გამო ალჟირის რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა ქვეყნის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი.

მან განაცხადა, რომ განვლილი წლების მანძილზე ალჟირში, რომელიც მთლიანად განთავისუფლდა კოლონიური მოძალადეობისა და საგარეო დამოუკიდებლობისაგან, შეიქმნა „დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო“.

როგორც ბუმედიენმა თქვა, ნამდვილ დამოუკიდებლობას აღწევენ დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნით, და ამასთან დაკავშირებით დაახასიათა რესპუბლიკის წინაშე მდგომი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

ერთობლივი განცხადება

ვაშინგტონი. 1 ნოემბერი. (საადეს). აქ გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. ბროზ ტიტოს ერთობლივი განცხადება.

ორ პრეზიდენტს შორის გამართული საუბრების დროს, აღნიშნულია განცხადებაში, მხარეებმა განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ძირითადი პრობლემები.

პრეზიდენტებმა ნიქსონმა და ტიტომ ხაზგასმით აღნიშნეს, ნათქვამია განცხადებაში, რომ გაჭიანურებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის მიზან-მიმართული ღონისძიებანი, აგრეთვე პროდუქტიული ეკონომიური და სოციალური განვითარება წარმოადგენენ მსოფლიოს მშვიდობის, სტაბილურობისა და პროგრესის ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტორებს.

